თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 18 იანვარი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 2

ქ. თერჯოლა

18 იანვარი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქორიაშვილი, 5. ლამა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. რუსუდან კოპზირიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. რამინი როზაქიძე, 3. თამარ ახვლედიანი, 4. ფრიდონ გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. კობა კირკიტაძე, 8. მერაბ ბასილაძე, 9. ტარიელ ფანჩულიძე, 10. როლანდი მესხი, 11. ივანე ჩუბინიძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 19 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰ სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ზ.ზუცხრიკიძე

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ზ.ზუცხრიკიძე

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ზ. ზუცხრიკიძე

4. ქ. თერჯოლის რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში ( ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხს.: ზ.ზუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზიძინა ზუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელებული სამართლებრივი ექსპერტიზის ( მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 2 22 00042772, 27.12.2022 წ.) დროს გამოვლინდა ხარვეზი - მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ანაზღაურების ძირითად პრინციპებთან.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანადებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №3, 18.01.2023 წ).

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელებული სამართლებრივი ექსპერტიზის ( მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 2 22 0004277Ⅱ, 27.12.2022 წ.) დროს გამოვლინდა ხარვეზი - საკრებულოს განყოფილების უფროსის და სპეციალისტების შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ანაზღაურების ძირითად პრინციპებთან.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №4, 18.01.2023 წ).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -საქართველოს მთავრობის

ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელებული სამართლებრივი ექსპერტიზის ( მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 2 22 00042772, 27.12.2022 წ.) დროს გამოვლინდა ხარვეზი დანართში რომელიც საჭიროებს შესწორებას.

კერძოდ, დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის რედაქციიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლა/ყოფნა არა მხოლოდ პარკში/ბაღში და სკვერში, არამედ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე და მის მიმდებარე ტროტუარებზე, რისთვისაც პასუხისმგებლობა წესდება სასკ-ის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.
დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია,რომ ხარჯების ოდენობის განსაზღვრა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით უნდა მოხდეს ხარჯის გამწევი სუბიექტის მიერ, გონივრულობის ფარგლებში და რეალური დასაბუთებით.

ამავე მუხლის მე-6 პუნქტში დაშვებულია ტერმინოლოგიური უზუსტობა - სასკ-ით არ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება, სამართალდარღვევისას დაადგინოს „მომსახურების საფასური".
დანართის მე-5 მუხლის შინაარსი სრულად არ შეესაბამება მის სახელწოდებას. კერძოდ, მუხლში არ არის განსაზღვრული ჯარიმის გასაჩივრების წესი, აღნიშნული კი აუცილებელია მკაფიოდ იქნეს რეგლამენტირებული.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №2, 18.01.2023 წ).

4.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ზოუხიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქ. თერჯოლის რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში ( ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს ქ. თერჯოლის რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში ( ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № :გ-29. 2923018001, 18.01.2023 წ.).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ზარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ზარათაშვილი